

შპს „ინტერსექიურიტი ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ინტერსექიურიტი
ჯორჯია

ს/კ 211346514

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შპს „ინტერსექსუალური ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ზოგადი მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ინფორმაცია

1. ფინანსური მდგომარეობა

1. ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	118578	20346	87812
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1614496	589395	265195
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	24370	26091	0
მარაგები	281178	595800	844298
სხვა	281178	595800	844298
სხვა მოკლევადიანი აქტივები	17873	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	4371	5391	501
ძირითადი საშუალებები	935105	1395777	1427443
სულ აქტივები	2995971	2632800	2625249
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	145952	31254	60875
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	7995	48088
საგადასახადო ვალდებულებები	0	1065	297958
გამოუმუშავებელი შემოსავალი	86123	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	186875	601646	461524
სხვა ვალდებულებები	45594	0	0
სულ ვალდებულებები	464544	641960	868445
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2074	51395	7259
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2529353	1939445	1749545
სულ საკუთარი კაპიტალი	2531427	1990840	1756804
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2995971	2632800	2625249
სულ მოკლევადიანი აქტივები	2054421	1231632	1437305
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	277669	40314	463961

ხელმოწერა _____


ფორმა #2-საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები		
	31/12/2023	31/12/2022
საქმიანობის შედეგები	9323037	4310072
ნეტო ამონაგები	166593	107192
საქონლის გაყიდვიდან	9156444	4202880
მომსახურების გაწევიდან	-123402	-1661616
გაყიდვების თვითღირებულება	9199635	2648456
საერთო მოგება	-2978869	-1590633
დასაქმებულთა ანაზღაურება	-460672	-219141
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-27461	-43119
საპროცენტო ხარჯი	-120000	-56206
იჯარის ხარჯი	-4919032	-481754
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-8506034	-2390853
სულ საოპერაციო ხარჯები	693601	257603
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-1950	-6
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-24455	-1871
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-77288	-21690
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	589908	234036
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	589908	234036
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	589908	234036
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1990840	1756804
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-49321	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2531427	1990840

ხელმოწერა.

ფორმა #3-ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	481472	70753
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	-242348
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-380479	106000
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	100993	-65595
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-2761	-1871
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	20346	87812
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	118578	20346

ხელმოწერა 

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს ინტერსექიურითი ჯორჯია
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის
31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია:

შპს ინტერსექიურითი ჯორჯიას შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია 1997 წლის 10 სექტემბერს #5ა/4-1333 (საინდიფიკაციო #211346514), იურიდიული მისამართია თბილისი, ვაჟა ფშაველას 41 მე-5 სართული, ხოლო ფაქტიური მისამართია თბილისი ი. გამრეკელის 47ა.

ორგანიზაციის დამფუძნებელია იოსებ ალავეძე-100%.

საანგარიშო პერიოდი კომპანიისთვის არის კალენდარული წელი 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 80100 კოდის მიხედვით განსაზღვრული „უსაფრთხოების დაცვის კერძო მომსახურების საქმიანობები“, რომელსაც კომპანია აწარმოებს საქმიანობის #000003 ლიცენზიის საფუძველზე, რომელიც გაცემულია 13/02/2009 წელს, სხვადასხვა ობიექტების დაცვის მომსახურებას, ვიდრე სამეთვალყურეო, დაცვითი და სახანძრო სიგნალიზაციის სისტემების, შეზღუდული დაშვების და მოპარვის საწინააღმდეგო სისტემების ინსტალაცია მონტაჟი, აღნიშნული მომსახურება აგრეთვე მოიცავს, ადგილზე ობიექტების დაცვას საკუთარი რესურსით თანამშრომლების განთავსებას, საგანგაშო სიგნალით მომსახურება და განგაშის ჩართვის შემთხვევაში მობილური ჯგუფის გაგზავნას.

კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა არის 712, მათ შორის 18% ქალია.

ხელმოწერა _____

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. თანხები შეფასებული და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები გადაანგარიშდება ლარში, ოპერაციის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით.

თანადართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, მოგებისა და ზარალის, საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა დამატებითი მაჩვენებლების შესახებ.

ამონაგები. კომპანიის მთავარ ამონაგების წყაროს წარმოადგენს დაცვის მომსახურების გაწევა და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული საქონლის რეალიზაცია. ამონაგები აღიარდება მაშინ, როცა მოხდება მომსახურება ხელშეკრულების ფარგლებში ან საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა სხვას. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები თანხის, გაყიდვასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით. საზოგადოება შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. აღნიშნული მეთოდის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგების აღიარება ხდება მათი განხორციელებისთანავე, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს გააცნობს არა მხოლოდ წარსულ სამეურნეო ოპერაციებს, რომელიც მოიცავს ფულადი საშუალებების

ხელმოწერა რ. კოსტია

გადახდას, არამედ მომავალში გასანადგებელ ვალდებულებებსაც.


სასაქონლო მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მისი თვითღირებულებით, რაც მოიცავს ნასყიდობის ფასს, სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქციას, ასევე მათი არსებითი ნაწილი გამოიყენება საოპერაციო საქმიანობაში. კომპანიაში მარაგები ძირითადად დროებით სარგებლობაში გადაეცემა კლიენტებს.

ძირითადი საშუალებები აღიარებულია შემენისა და დაგროვილი ამორტიზაციის შორის სხვაობით. დანახარჯები ძირითად საშუალებების მოვლა შენახვისა და რემონტზე, რომლითაც არ იზრდება ძირითადი საშუალებების ღირებულება მიკუთვნებულია საოპერაციო ხარჯებზე. ხოლო ის დანახარჯები რომლებიც გაიწევა ძირითად საშუალებების რეკონსტრუქციაზე, განახლებაზე და გადაიარაღებაზე კაპიტალიზირდება და ზრდის ძირითადი საშუალების ღირებულებას. აქტივების ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე მათი ღირებულება არ არის არსებითად შეცვლილი, რის გამოც მათი ღირებულება არ საჭიროებს გადაფასებას. ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების გადანაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურეობის ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

საწესდებო კაპიტალი მოიცავს დამფუძნებლის მიერ განხორციელებულ შენატანს მასში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, გაუნაწილებელი მოგება კი მოიცავს საანგარიშო და წინა პერიოდებში დაგროვილ და გაუნაწილებელ მოგებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -მომსახურეობის/საქონლის მიწოდება ძირითადად

ხელმოწერა



ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმ ობიექტური მტკიცებულების დასადგენად, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება ამ თანხების ამოღებადობის შესაძლებლობა. თუკი არსებობს მსგავსი სახის მტკიცებულებები, ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის /მომსახურეობის შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან დ ამომსახურეობიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით აღიარდება მოგებაში ან ზარალში,

მომუშავეთა გასამრჯელო დასაქმებულ პირებზე გადასახდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენტან, აღიარებს იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურეობას, მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურეობისათვის

დივიდენდის ვალდებულებად აღრიცხვა ხდება პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცხადებისა და დამტკიცების შესაბამის პერიოდში, საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებისა და ნორმების შესაბამისად

ფულადი საშუალებებისა და მათი ექვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობათა შესაფასებლად, მათი საიმედოობისა და დროულობის დასადგენად, რომელიც აუცილებელია მომხმარებლის მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად,

ხელმოწერა _____

გარკვეული სახის ინფორმაციაა საჭირო, ამ ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვრება საწარმოს შესაძლებლობა დაფაროს ვალდებულებები, გაანაწილოს მოგება მფლობელთა შორის. სწორედ ასეთი სახის ინფორმაცია იყრის თავს ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში,

არამატერიალური აქტივები, წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (ლიცენზია დაცვის მომსახურებაზე, დაცვის მომსახურების ცენტრის პროგრამული უზრუნველყოფა და ბუღალტრული პროგრამა). და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები. მიღებული სესხები ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების ღირებულებით და საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. ეფექტური საპროცენტო ხარჯი აღიარდება საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

შპს ინტერსექიურითი ჯორჯიას

გენერალური დირექტორი

/გიორგი ფანგანი/

ხელმოწერა

გ. ფანანი

